დანართი №1

2018 წლის 17 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგრ.საპრ.№2-18 ხელშეკრულებაზე (CMR180163311)

ქ. თბილისი **08.10.2018წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „ვექტორ - სტუდიო +“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ვაჟა ყირმიზოვის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), მიმწოდებლის 2018 წლის 8 ოქტომბრის წერილის (დეპარტამენტში რეგისტრაციის ნომერი: №20647/2 08.10.2018) და 2018 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგრ.საპრ.№2-18 ხელშეკრულების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2018 წლის 17 სექტემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგრ.საპრ.№2-18 ხელშეკრულებაში (ქალაქ რუსთავის მიმდებარედ არსებული იაღლუჯის მთის ფერდობებზე ფორმირებული ღვარცოფული ნაკადებისაგან ქალაქის ქუჩებისა და საცხოვრებელი მიკრორაიონების დაცვის მიზნით, ქალაქ რუსთავის ღვარცოფული ნაკადებისაგან დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურება ხელშეკრულების დანართის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად) (შემდგომში - ხელშეკრულება) და ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 17 (ჩვიდმეტი) სამუშაო დღეში.“.

2. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე

მიმწოდებელი
შპს „ვექტორ - სტუდიო +“
დირექტორი
ვაჟა ყირმიზოვი